

**ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების 2009 წლის  
ანგარიში**

**თბილისი 2010 წელი**

## პროგრამა `ბავშვზე ზრუნვა`-

**2009** წლის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა **17 579 800** ლარით.

აღნიშნული პროგრამის განსაზღვრული პუნქტების განმახორციელებელია ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო. პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეკომპონენტებს:

აღნიშნული პროგრამა მოიცავს რამოდენიმე ქვეკომპონენტს მ.შ:

– ქვეპროგრამა `ჩვენი სახლი` – საანგარიშო პერიოდში მოემსახურა **323** ბენეფიციარს.

– დღის ცენტრების ქვეპროგრამით დაფიქსირდა – **1 027** ბენეფიციართა რაოდენობა;

– მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა – მოემსახურა **492** ბენეფიციარს;

– ბავშვთა დასვენება-გაჯანსაღების ქვეპროგრამა – მოემსახურა **2 940** ბენეფიციარს;

– ძვალ სახსროვანი დაავადების მქონე ბავშვთა რეალიზაციის ქვეპროგრამა – მოემსახურა **56** ბენეფიციარს;

– ბავშვთა ასაკის განვითარების დარღვევის პრევენციისა და ადრეული დიაგნოსტიკის ქვეპროგრამა – მოემსახურა **2 496** ბენეფიციარს;

– განსკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა – მოემსახურა **14 672** ბენეფიციარს.

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელსეწყობის სახელმწიფო პროგრამა**

**2009** წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ- საქართველოს კანონის შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა **4 500** ათასი ლარით.

წარმოგიდგენთ აღნიშნული პროგრამით მოცულ ქვეპროგრამებს და შემთხვევათა რაოდენობებს:

– შშმ პირთა დღის ცენტრების ქვეპროგრამა – **92 466** კვება/დღე;

– უსინათლოთა სოციალური ინტეგრაციის ქვეპროგრამა (დაფინანსების სპეციფიურობიდან გამომდინარე, შეუძლებელია შემთხვევათა რაოდენობის განსაზღვრა)

– ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟის ქვეპროგრამა – **21 082** კვება/დღე;

– შშმ პირთა სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა – **11 268** კვება/დღე;

– სპეციალიზირებული სადღეღამისო დაწესებულებების ბენეფიციართა საკურორტო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა – **1050** კაც-დღე;

– შშმ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაციის ქვეპროგრამა – **799** შემთხვევა;

– ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა – **200** შემთხვევა;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელსეწყობის სახელმწიფო პროგრამით მოხდა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა. მიმდინარე წელს გაიცა:

1. სავარძელ-ეტლი:

სტანდარტული – **732**;

2. ხელჯოხი სტანდარტული – **724**;

3. უსინათლოთა ხელჯოხი – **40**;

4. ხელჯოხ-ყავარჯენი – **24**;

5. ყავარჯენი – **263**;

6. სმენის აპარატი სულ – **1 318**;

მათ შორის:

ციფრული – **273**;

ანალოგური – **1 045**;

7. პროთეზი სულ – **161**

მათ შორის:

მუხლის ქვედა – **76**;

მუხლის ზედა – **78**;

იდაყვის ქვედა – **5**;

იდაყვის ზედა – **2**;

8. ორთეზი – **11**;

9. ორთოპედული ფეხსაცმელი – **61**;

10. კორსეტი – **4**.

11. ბანდაჟი – **3**;

12. ბანდაჟი-კორსეტი – **4**.

13. კოხლეარული იმპლანტი – **5**.

**სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის  
ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა.**

საქართველოს მთავრობის # **123 (08.07.2009წ.)** დადგენილების საფუძველზე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს მოეწოდა სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატი მწერლების ჩამონათვალი (სულ **193**), რის მიხედვითაც ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტომ **2009** წელს დაბეჭდა და საქართველოს მასშტაბით ბინაზე მიტანით დაარიგა უფასო სამედიცინო მომსახურების ვაუჩერი. აღნიშნული მომსახურება გრძელდება აღნიშნული ბრძანებიდან ერთი წლის განმავლობაში

ვერ მოხერხდა შემდეგი მიზეზების გამო რამოდენიმე ვაუჩერის დარიგება: საქართველოში აღარ ცხოვრობს (**3**), გარდაცვლილი (**2**), ბინაზე მიტანის დროს შინ არ იყო რამოდენიმე მოსარგებლე, რასაც შემდგომში მათი დაზღვევისათვის ხელი არ შეუშლია.

აღნიშნული კონტიგენტი დაეზღვა: ჯი-პი აი ჰოლდინგში \_ **40**, ირაო \_ **49**, იმედი ლ \_ **39**, აი სი ჯგუფი **13**, ალდაგი ბი სი აი \_ **50**.

**სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის  
სახელმწიფო პროგრამა**

**2009** წლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:

\_ **2008** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით გაცემული მშობიარობის (**200** ლარიანი) ვაუჩაერის ანაზღაურება. საანგარიში პერიოდში დაფიქსირდა **5 500** მშობიარობა.

აღნიშნული პროგრამა ანაზღაურებს კერძო სადაზღვევო კომპანიებში გადაზღვეულ ბენეფიციარებს, რომელთა რიცხვი შეადგენს საანგარიშო პერიოდში არის **914 278**. კერძო სადაზღვევო კომპანიებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე **2009** წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში დაფიქსირდა;

ამბულატორიული შემთხვევა \_ **127 153**;

ურგენტული შემთხვევა \_ **41 040**;

გეგმიური სტაციონარული შემთხვევა \_ **49 254**.

### ფსიქიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა.

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ- საქართველოს კანონის შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა **9 746 800** ლარით. პროგრამით გათვალისწინებული სერვისები ანაზღაურდება სრულად.

2009 წლის პერიოდში პროგრამის მიხედვით ხორციელდებოდა:

- \_ ამბულატორიული მომსახურება;
- \_ სტაციონარული მომსახურება;

აღნიშნული პროგრამით ქვეკომპონენტების მიხედვით გაფორმებულია:

- \_ ფსიქიური ნივთიერებებით გამოწვეული ფსიქიური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება \_ **2** ხელშეკრულება;
- \_ მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება \_ **9** ხელშეკრულება;
- \_ ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურება \_ **20** ხელშეკრულება;
- \_ ფსიქოზური რეგისტრის აშლილობის მქონე პაციენტთა ურგენტული სტაციონარული მომსახურება \_ **11** ხელშეკრულება;
- \_ ბავშვთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება \_ **1** ხელშეკრულება;
- \_ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია \_ **3** ხელშეკრულება.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა **105 569** ამბულატორიული შემთხვევა. ხშირი ნოზოლოგიები: შიზოფრენია **46 446**, დემენცია **4 594**, სხვა დანარჩენი კი სხვადასხვა სახის აშლილობანი. მათ შორის ამბულატორიულ მომსახურებაში დაფიქსირდა **9 699** ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის შემთხვევა და სამედიცინო ცნობის გაცემის (სსე) **2 631** შემთხვევა.

რაც შეეხება სტაციონარული დახმარების ქვეკომპონენტს, **2009** წლის იანვარ-მაისში დაფიქსირდა **7 474** შემთხვევა. ივნისი-დეკემბრის პერიოდში დაფიქსირდა მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების **20 253** საწოლ/დღე, ფსიქოპათიური ნივთიერებებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების **52** შემთხვევა, ბავშვთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების **139** შემთხვევა, ფსიქოზური რეგისტრის აშლილობის მქონე პაციენტთა ურგენტული **13** სტაციონარული შემთხვევა.

### ფთიზიატრიული დახმარების სახელმწიფო პროგრამა.

ფტიზიატრიული დახმარების კომპონენტით **2009** წლის განმავლობაში ხორციელდება:

ფტიზიატრიული ამბულატორიული და სტაციონარული დახმარების კომპონენტი.

**2009** წელს ფტიზიატრიული სტაციონარული დახმარების კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა **7 823 000** ლარით.

აღნიშნული პროგრამით ქვეკომპონენტების მიხედვით გაფორმებულია:

- \_ რეფერენს კონტროლი \_ **1** ხელშეკრულება;
- \_ **DOT** სამსახური \_ **1** ხელშეკრულება;
- \_ ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი \_ **70** ხელშეკრულება;
- \_ სტაციონარული მომსახურება \_ **10** ხელშეკრულება;
- \_ სუპერვიზია \_ **1** ხელშეკრულება.

ანაზღაურების ერთეულს წარმოადგენს საწოლ/დღე, რომლის ღირებულება რეგიონებში შეადგენს **20** ლარს (კვების ჩათვლით), ხოლო ქ. თბილისში საწ/დღე \_ **23** ლარს (კვების ჩათვლით), MDR-ის შემთხვევაში **27** ლარი, ქირურგიული მკურნალობისათვის შემთხვევის გასაშუალოებული ღირებულებაა **3 220** ლარი

**2009** წლის განმავლობაში დაფიქსირებულ შემთხვევათა რაოდენობა მოწოდებულია ცხრილით.

პერიოდი	რეფერენს კონტრ.	DOT-სოც. მეურვ.სამს	სუპერვიზია	ამბ.შემთხვ	რეზისტენტული	სტაც.თერ. შემთ.	ქირურგ. სტაც.შემთხ.
<b>2009წ</b>	<b>10 390</b>	<b>17 438</b>	<b>203</b>	<b>63 720</b>	<b>64 123</b> ს/დღე	<b>102 983</b> ს/დღე	<b>141</b>

**ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა.**

ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა **2009** წელს პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა **14 962.500** ათასი ლარით და მოიცავს:

- \_ **3** წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება \_ **119** ხელშეკრულება;
- \_ **3** წლამდე ასაკის ბავშვთა გადაუდებელი დახმარება \_ **1** ხელშეკრულება;
- \_ ბავშვთა ონკოჰემატოლოგია \_ **2** ხელშეკრულება;

– იშვიათი დაავადებების მქონე და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისა და იმ ბავშვების სამედიცინო დახმარება, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას – **1** ხელშეკრულება;

– **18** წლამდე ასაკის ბავშვთა ანტირაბიული მომსახურება – **70** ხელშეკრულება.

– ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ფენილკეტონურიასა და ფენილალანინემიაზე – **1** ხელშეკრულება,

– **18** წლამდე ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა – აღნიშნული ქვეკომპონენტით ბავშვთა **2** ხელშეკრულება.

**2009** წლის განმავლობაში შემთხვევათა რაოდენობის განაწილება ქვეკომპონენტების მიხედვით საქართველოს მასშტაბით მოცემულია ცხრილში:

ანგარიშგების პერიოდი	<b>0-3წ</b> სტაც.მომსახურება	<b>0-3წ</b> გადაუდ.მომსახურება	იშვიათი/მმმბ	<b>18 წ.</b> ანტირაბიული	<b>18წ</b> ბავშვთა ონკოლოგ	ნეონეტოლოგია
<b>2009 წელი</b>	<b>44 246*</b>	<b>6 621</b>	<b>4 273</b>	<b>55 959</b>	<b>3 128</b>	<b>5 593</b>

\* **0-3** წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურების შემთხვევათა რაოდენობის შემცირება (**2009** წლის **9** თვის მონაცემთან შედარებით), გამოწვეულია პროგრამების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნული კომპონენტიდან **18** წლამდე ასაკის ანტირაბიული სამედიცინო დახმარების კომპონენტის შემთხვევათა რაოდენობისაგან გათავისუფლება, რის გამოც მოხდა **18** წლამდე ასაკის ანტირაბიული სამედიცინო დახმარების კომპონენტის შემთხვევათა რაოდენობის გამოხატული მკვეთრი ზრდა.

საანგარიშო პერიოდში შედარებით ხშირ ნოზოლოგიებს ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება:

#	ნოზოლოგიის დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა
<b>1</b>	ზედა სასუნთქი გზების მწ.ინფექციები	<b>6 357</b>
<b>2</b>	მწვ.ბრონქიტი. ბრონქოსპაზმი	<b>3 417</b>
<b>3</b>	პნევმონია გამომწვევის დაზუსტების გარეშე	<b>2 321</b>
<b>4</b>	ახალშობილთა ცერებრული დარღვევები	<b>1 949</b>
<b>5</b>	სავარაუდოდ ინფექციური წარმოშობის დიარეა	<b>1 104</b>
<b>6</b>	ნაწლავური ვირუსული ინფექცია	<b>813</b>

რაც შეეხება ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგს ფენილკეტონურისა და ფენილალანინემიაზე დაფიქსირდა შესაბამისად **62 675** შემთხვევა,

ბავშვთა ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ქვეკომპონენტით დაფიქსირდა **2 015** შემთხვევა, მათ შორის **170** ოპერაცია, **5** ნეიროქირურგიული ოპერაცია, **202** კომპიუტერული კვლევა, **9** სხივური თერაპია, **219** ქიმიოთერაპია, **1 410** ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური კვლევა. რაც შეეხება ონკოჰემატოლოგიურ დახმარებას, დაფინანსების სპეციფიურობიდან გამომდინარე, შეუძლებელია შემთხვევათა რაოდენობის განსაზღვრა.

### **ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა.**

**2009** წლის ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი **2 121 000** ლარით.

**18** წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზღაურება (ნოზოლოგიური ჯგუფი) **80%**ის ოდენობით.

**3** წლამდე ასაკის ბავშვთა კრიტიკული მომსახურების ანაზღაურებას სრულად;

**18** დან-**60** წლამდე ასაკის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ღირებულების (ნოზოლოგიური ჯგუფების) ანაზღაურებას **50%** ის ოდენობით;

**60** წლიდან ზემოთ ასაკის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ღირებულების ღირებულების (ნოზოლოგიური ჯგუფების) ანაზღაურებას **70%**-ის ოდენობით.

აღნიშნული პროგრამით გაფორმებულია **14** ხელშეკრულება.

**2009** წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში დაფიქსირდა **4 120** შემთხვევა.

რაც შეეხება საანგარიშო პერიოდში ხშირ ნოზოლოგიებს, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა შემდეგი ხშირი ნოზოლოგიები: ინფექცია (სტაციონარი) **2 853** შემთხვევა, სეფსისი (სტაციონარი) **124** შემთხვევა, პარატიზოლოგია **3** წლამდე **123** შემთხვევა, ინფექცია კრიტიკული **100** შემთხვევა.

**2009** წლის ხელშეკრულების გაფორმებიდან ოქტომბრის თვიდან ახალი ხელშეკრულების გათვალისწინებით დაფიქსირდა:

1. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა\_ **694** შემთხვევა;
2. **3** წლამდე ბავშვები \_ **445** შემთხვევა;

3. **3-18** წლამდე – **420** შემთხვევა;
4. **18-60** წლამდე – **491** შემთხვევა;
5. **60**წლის ზემოთ – **87** შემთხვევა.

### სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა

პროგრამით აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება:

- ანტენატალური მეთვალყურეობა – **290** ხელშეკრულება;
- მაღალი რისკის ორსულთა და მელოგინეთა მკურნალობა – **2** ხელშეკრულება.

ანტენატალური მეთვალყურეობა მოიცავს **4** სავალდებულო ვიზიტს შესაბამისი თანხებით: რომელიც საანგარიშო პერიოდში ჩატარდა: პირველი ვიზიტი – **53 886** (**32** ლარი), მეორე ვიზიტი **49 583** (**9** ლარი), მესამე ვიზიტი – **50 687** (**7** ლარი), მეოთხე ვიზიტი – **48 985** (**7** ლარი).

გარდა ვიზიტებისა დაფიქსირდა **159** ტესტირებული კვლევის შემთხვევები.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა **2 663** მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობის შემთხვევა. ასევე დაფიქსირდა **58** მელოგინეთა სეფსისი.

### ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციის და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამა.

პროგრამა ითვალისწინებს თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა უზრუნველყოფას ჰემო და პერიტონალური დიალიზით, ასევე თირკმლის ტრანსპლანტაციით. აღნიშნული პროგრამით გაფორმებულია:

- ტრანსპლანტაციის ქვეკომპონენტი – **2** ხელშეკრულება.
- ჰემო და პერიტონული დიალიზი – **3** ხელშეკრულება.

ჰემოდიალიზის დაფინანსება ხდება გასაშუალოებული ტარიფის მეშვეობით – ერთი სეანსის ღირებულება **120** ლარი

პერიტონიალური დიალიზის შემთხვევაში ერთი სეანსის ღირებულება **12,50** ლარი.

ტრანსპლანტაციის ოპერაცია ფინანსდება გასაშუალოებული ტარიფის მეშვეობით. ერთი ოპერაციის ღირებულება შეადგენს **19 995.6** ლარს.

**2009** წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **15 748.5** ათასი ლარით. აქედან დიალიზზე გამოყოფილია **15 458.6** ათასი ლარი, სისხლძარღვოვანი მიდგომის უზრუნველყოფაზე – **50** ათასი ლარი, თირკმლის ტრანსპლანტაცია – **239.9** ათასი ლარი.

**2009** წლის განმავლობაში საქართველოში დაფიქსირდა **128 819** - ჰემოდიალიზის სეანსი, **131 440** – პერიტონეალური დიალიზი. სისხლძარღვოვანი მიდგომის უზრუნველყოფა – **162** შემთვევა, თირკმლის ტრანსპლანტაციის – **9** შემთხვევა.

### ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა.

**2009** წლის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამით ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:

– **60** წლის ზემოთ ასაკის მოსახლეობის ონკოლოგიურ ავადმყოფთა სტაციონარული მკურნალობა, მათ შორის დიაგნოსტიკა; აღნიშნული ქვეკომპონენტით ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა – **24** ხელშეკრულება, ნეიროონკოლოგიურ დაავადებათა სტაციონარული მკურნალობა – **15** ხელშეკრულება, ონკოჰემატოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა – **8** ხელშეკრულება.

– ონკოინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მკურნალობა ასაკის მიუხედავად – **2** ხელშეკრულება.

**2009** წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა **17 737** შემთხვევა. აქედან შემთხვევათა რაოდენობის დიდი წილი მოდიოდა დიაგნოსტიკურ კვლევაზე – **10 743**, კომპიუტერული დიაგნოსტიკა – **516** შემთხვევა, ქიმიოთერაპია – **1 587**, სხივური თერაპია – **370** ნეიროონკოლოგიურ დაავადებათა სტაციონარული **47** შემთხვევა. პალიატიურ მზრუნველობის **2 017** შემთხვევა. ონკოჰემატოლოგიის **1 513** შემთხვევა.

რაც შეეხება ოპერაციულ მკურნალობას, ნოზოლოგიური ჯგუფების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილით.

	ნოზოლოგიური ჯგუფი	შემთხვევათა რაოდენობა
1	თორაკალური	53
2	თავ-კისერი	104
3	მამოლოგია	184
4	უროლოგია	106
5	რბილი ქსოვილები	44
6	გინეკოლოგია	129
7	პროქტოლოგია	129
8	აბდომინალური	195

### რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა.

კომპონენტი ითვალისწინებს ქვეყნის მოსახლეობისათვის დროული და მაღალხარისხიანი გადაუდებელი სტაციონარული დახმარების ფინანსურ და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას.

ა) სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სხვა განსაზღვრულ შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ქვეკომპონენტი;

ბ) უმაღლესი საკონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების თანამდებობის პირთა და მათი ოჯახის წევრთა გეგმიური და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხარჯების ანაზღაურება;

გ) ყოფილ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების და მათი ოჯახის წევრთა სამედიცინო დაზღვევის ქვეკომპონენტი;

დ) რეფერალური დახმარება: ადგილზე რეფერალური ბრიგადის მიერ კონსულტაცია, და გართულებული შემთხვევების სამედიცინო ტრანსპორტირება

ე) უმაღლესი საკონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების თანამდებობის პირთა და საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საზღვარგარეთის ქვეყნების ხელმძღვანელთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

ა პუნქტის შესაბამისად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის #01-15/01/9144 (03.08.2009.) წერილის საფუძველზე რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სექტემბრის თვემდე ხორციელდებოდა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დამატებითი ამბულატორიული მომსახურება, სტაციონარული მომსახურება და მედიკამენტოზური დახმარება. დაფიქსირდა **66 802** შემთხვევა. აღნიშნული დახმარება შეწყდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის #01-15/01/10345 (01.09.2009.) წერილის საფუძველზე.

ბ პუნქტის შესაბამისად დაფიქსირდა **45** შემთხვევა.

დ პუნქტის შესაბამისად დაფიქსირდა **8 764** შემთხვევა;

ე პუნქტის შესაბამისად დაფიქსირდა **27** შემთხვევა.

### მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა.

მოსახლეობის ურგენტული მომსახურების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:

– **60** წლის და მეტი ასაკის კრიტიკული მდგომარეობების მართვა, პირველი ექვსი დღე;

– პროგრამით გათვალისწინებული დაავადებების მართვა (პაციენტის მხრიდან **25%**-იანი თანაგადახდით) – **40** ხელშეკრულება.

– პათომორფოლოგიური და ბიოფსიური მასალების კვლევა – **1** ხელშეკრულება.

**2009** წელს ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი წლის დასაწყისში განისაზღვრა **6 275.1** ათასი ლარით, ხოლო წლის ბოლოსთვის განისაზღვრა **10 275.1** ათასი ლარით. მათ შორის პათომორფოლოგიური და პათანატომიური კვლევები – **50.0** ათასი ლარი.

ანაზღაურება ხორციელდება ნოზოლოგიური ჯგუფისათვის დადგენილი საშუალო ღირებულების გათვალისწინებით. პროგრამული ღონისძიებების მაღალი რესურსტევადობის გამო გამოყენებულია მოსახლეობის მხრიდან თანაგადახდის პრინციპი **25%**-ის ოდენობით. თანაგადახდა არ ვრცელდება მაღალმთიან და კონფლიქტურ რეგიონებში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში.

**2009** წლის განმავლობაში დაფიქსირდა **16 142** ურგენტული შემთხვევა, მ.შ. კრიტიკული მდგომარეობა **4 656**, პათომორფოლოგიური და პათანატომიური კვლევები – **2 394** შემთხვევა.

აღნიშნული პროგრამით გამოვლინდა ხშირი ნოზოლოგიური კოდები: მარცხენა პარკუჭის უკმარისობა – **768** შემთხვევა; არასტაბილური სტენოკარდია – **1 473** შემთხვევა; გულის მწვავე ინფარქტი – **1 162** შემთხვევა, თავის ტვინის ცერებროვასკულური დაზიანება – **1 696** შემთხვევა, პნევმონია – **1 126** შემთხვევა.

### **გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამა**

გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

**60** წლის ზემოთ ასაკის მოსახლეობისათვის გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიების მკურნალობის ღირებულების (ნოზოლოგიური ჯგუფები) ანაზღაურებას **70%**-ის ოდენობით, გარდა ანგიოპლასტიკისა – **9** ხელშეკრულება.;

**60** წლის ზემოთ ასაკის მოსახლეობისათვის გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიების ანგიოპლასტიკით მკურნალობას, ღირებულების ანაზღაურების **50%**-ის ოდენობით – **11** ხელშეკრულება.;

**18** წლამდე ასაკის ბავშვთა გულის თანდაყოლილი მანკების ქირურგიული მკურნალობის ანაზღაურებას სრულად;

**18** წლის ზემოთ ასაკის მოსახლეობის გულის თანდაყოლილი მანკების ქირურგიული მკურნალობის ღირებულების (ნოზოლოგიური ჯგუფების) ანაზღაურებას **70%**ით – **4** ხელშეკრულება.

წლის განმავლობაში დაფიქსირებულია **1 325** შემთხვევა. ოპერაციული მკურნალობა თანდაყოლილი მანკების დროს – **367** შემთხვევა, შეძენილი მანკების დროს **383** შემთხვევა და ანგიოპლასტიკის **575** შემთხვევა.

### **ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა.**

პროგრამის მიზანია ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით და დაავადებულთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით უზრუნველყოფა – **1** ხელშეკრულება. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს **130.0** ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში სულ დაფიქსირდა **1 018** შემთხვევა, აქედან **1 001** ამბულატორიული და **17** სტაციონარული მომსახურების.

### პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა

პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის კომპონენტებია:

– ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი სოფლად. აღნიშნული კომპონენტით გაფორმებულია **181** ხელშეკრულება, მ.შ. **34** სპეცდაფინანსების ქვეკომპონენტით. .

– დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის კომპონენტი – **1** ხელშეკრულება.;

– ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის კომპონენტი – **1** ხელშეკრულება.;

– სპეციალიზირებული ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი;

– ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი **159** ხელშეკრულება.

როგრამის ბიუჯეტი – **24 916.6** ათასი ლარი.

**2009** წლის ივლისის თვიდან ახალი კომპიუტერული პროგრამის მოხმარებასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ ანგარიშს ორ ნაწილად, **2009** წლის იანვარ-მაისი და **2009** წლის ივნისი-დეკემბერი.

**2009** წლის იანვარ-მაისში კონფლიქტურ ზონებსა და სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მონაცემები ასე გამოიყურება:

	ღონისძიება	2009 (I-V)
<b>1</b>	<b>0-3</b> წლამდე	<b>3 594</b>
<b>2</b>	<b>3-5</b> წლამდე	<b>3 735</b>
<b>3</b>	<b>15-65</b> წლამდე	<b>8 949</b>
<b>4</b>	<b>65</b> წლის ზემოთ	<b>5 576</b>
<b>5</b>	აცრები	<b>3 790</b>

რაც შეეხება კვლევებს:

	ღონისძიება	2009 (I-V)
<b>1</b>	ლაბორატორიული კვლევები	<b>6 949</b>
<b>2</b>	ინსტრუმენტული კვლევები	<b>781</b>
<b>3</b>	სპეციალისტის კონსულტაცია	<b>2 169</b>
<b>4</b>	ექიმითან/ექიმის ვიზიტი	<b>13 306</b>
<b>5</b>	მედდის/მედდასთან	<b>8 547</b>

	ვიზიტი	
--	--------	--

რაც შეეხება სოფლის მოსახლეობის ამბულატორიულ მომსახურების მიწოდებას, საანგარიშო პერიოდის მონაცემები, წარმოდგენილია ცხრილში:

	ღონისძიება	2009 (I-V)
1	ექიმთან/ექიმის ვიზიტი	391 022
2	განვითარებაზე მეთვალყურეობა	87 532
3	პაციენტთა რეფერალი	15 211
4	ქრონიკული ავადმყოფების გამოვლენა	47 728
5	მედლის/მედდასთან ვიზიტი	163 151

ზოგადი ამბულატორიული მომსახურების ფარგლებში:

	ღონისძიება	2009
1	3-15 წლამდე	3 965 248
2	15-65 წლამდე	1 401 821
3	65 წლის ზემოთ	1 376 298
4	0-3 წლამდე	619 089
5	იმუნიზაცია, ვაქცინაცია	550 818
6	ლაბორატორიული კვლევები	72 891
7	ინსტრუმენტული კვლევა	59 255
2	ექიმის/ექიმთან ვიზიტი	411 722

ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით, საოჯახო მედიცინის ფარგლებში:

	ღონისძიება	2009
1	ექიმთან ვიზიტი (ყველა ასაკი)	40 990
2	ექიმისა და ექთნის ვიზიტი ბინაზე	17 203
3	იმუნიზაცია, ვაქცინაცია	4 752
4	ბავშვის განვითარებაზე მეთვალყურეობა	10 778
5	ინსტრუმენტული გამოკვლევა	55 877
6	ლაბორატორიული გამოკვლევა	720 708

7	სპეციალისტების კონსულტაცია	12 774
---	-------------------------------	--------

რაც შეეხება ივნისი-დეკემბრის მონაცემებს: ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი სოფლად ფარგლებში: ა) ცხრილით წარმოდგენილია ამბულატორიული მომსახურების ქვეკომპონენტის ფარგლებში რეგიონების მიხედვით ექიმთან ვიზიტების რაოდენობა. ასევე ცხრილში წარმოდგენილია ფიზიკურ პირებთან ხელშეკრულებების რაოდენობა.

რეგიონი	ვიზიტების რაო-ბა	ფ.პ ექიმები	ექთნები
იმერეთი	31 406	274	278
აჭარა	13 271	143	141
გურია	8 161	85	99
კახეთი	17 210	214	228
მცხეთა- მთიანეთი	5 975	71	91
რაჭა-ლეჩხუმი	3868	56	87
სამეგრელო, ზემო სვანეთი	18 260	222	238
სამცხე-ჯავახეთი	13 008	66	66
ქვემო ქართლი	19 646	188	201
შიდა ქართლი	17 191	186	200

ბ) ამბულატორიული მომსახურება სოფლად სპეცდაფინანსების ქვეკომპონენტით ჩატარდა 58 352 ვიზიტი ექიმთან (ყველა ასაკობრივ ჯგუფში) და 6 161 აცრა.

### ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის კომპონენტი

აღნიშნული კომპონენტით საანგარიშო პერიოდში სულ განხორციელდა ექიმის 1 893 ვიზიტი და ექთნის 5 397 ვიზიტი (სულ 7 290). საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 149 პალიატიურ მზრუნველობას დაქვემდებარებული პაციენტი.

### დიაბეტის ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობის და რეაბილიტაციის კომპონენტი

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს დიაბეტთან ბავშვთა ასოციაციის ცენტრში არსებულ ბავშვთა ლაბორატორიული კვლევებით, მედიკამენტებით, გლუკომეტრით, ტესტის ჩხირებით, შპრიც კალმებით და ნემსებით უზრუნველყოფას. გარდა ჩამოთვლილისა პროგრამა უზრუნველყოფს: კომუნალურ ხარჯებს, ავტოტრანსპორტის ხარჯებს, ლიტერატურას, საოფისე ტექნიკის ხარჯებს, ტელეფონისა და ინტერნეტის ხარჯებს. აღნიშნული პროგრამა საანგარიშო პერიოდში მოემსახურა **1 013** პაციენტს.

### სპეციალიზირებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტი

სპეციალიზირებული ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში შექრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურების ქვეკომპონენტით ჩატარდა ექიმის **526** კონსულტაცია. **826** ლაბორატორიული კვლევა.

ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში მონაცემები ცხრილით არის წარმოდგენილი

რეგიონი	ვიზიტების რაოდენობა	0-5 აღრიცხვაზე მყოფი	60წ ზემოთ აღრიცხვაზე მყოფი	დიაბეტითი პაციენტი	ონკოინკურაბელური პაციენტი
თბილისი	329 840	503 329	933 324	36 684	1 311
იმერეთი	103 392	148 819	316 462	21 784	867
აჭარა	37 797	62 702	104 822	3810	256
გურია	4 925	8 501	22 043	687	72
კახეთი	22 787	32 247	75 361	7 442	848
მცხეთა-მთიანეთი	3 018	7 407	11 986	852	98
სამეგრელო, ზემო სვანეთი	24 960	61 201	126 997	7286	1 531
სამცხე-ჯავახეთი	17 974	24 443	40 176	3 817	834
ქვემო ქართლი	54 457	83 922	112 967	9 851	1 773
შიდა ქართლი	69 281	46 553	74 041	10 498	222

აივ ინფექცია/შიდსის ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა.

**2009 წლის სახელმწიფო პროგრამით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:**

– აივ-ინფექცია/შიდსზე მაღალი რისკის ჯგუფის პირთა ნებაყოფლობით კონსულტირება და კვლევა – **1 ხელშეკრულება;**

– აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფა ამბულატორიული მომსახურება – **1 ხელშეკრულება;**

– აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფა სტაციონარული მკურნალობით – **1 ხელშეკრულება.**

**2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ- საქართველოს კანონის შესაბამისად კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა 2 000 000 ათასი ლარით.**

დაფინანსება თითოეული ქვეკომპონენტით მიმდინარეობს ნოზოლოგიური ჯგუფისთვის დადგენილი საშუალო ღირებულებით.

**2009 წლის იანვარ-მაისში აღნიშნული პროგრამით მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში. აღნიშნულ პერიოდში დაფიქსირდა 11 387 შემთხვევა.**

დახმარების სახე	შემთხვევათა რაოდენობა
აივ-ანტიბიოტიკების განსაზღვრა და ანტირეტროვირუსული კვლევა	5 123
ტესტის წინა კონსულტაცია	2 827
ტესტის შემდგომი კონსულტაცია	2 716
ვიზიტი/კონსულტაცია	540
შიდსი სტაციონარი	115
მკურნალობა ამბულატორიული	18
ინსტრუმენტული დიაგნოსტიკა	48
<b>სულ</b>	<b>11 387</b>

რაც შეეხება ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით მონაცემებს, წარმოდგენილია შემდეგი ცხრილით:

#	დახმარების სახე	შემთხვევათა რაოდენობა
1	მაღალი რისკის ჯგუფის პირთა გამოკვლევა აივ ინფექციაზე/შიდსზე სკრინინგული მეთოდებით	22 822

1.1	აივ ანტისხეულების განსაზღვრა ს/შ იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდით	5411
1.2	აივ ანტისხეულების განსაზღვრა ს/შ სწრაფი/მარტივი მეთოდით	3736
1.3	ტესტის წინა კონსულტაცია	178
1.4	ტესტის წინა კონსულტაცია სისხლის აღებით	6391
1.5	ტესტის შემდგომი კონსულტაცია	6735
1.6	ექიმის ვიზიტი პაციენტთან და კონსულტაცია	
1.7	ექიმის ვიზიტი პაციენტთან, კონსულტაცია და სისხლის აღება	371
<b>2</b>	<b>სკრინინგული გამოკვლევით პოზიტიური ნიმუშების კონფირმაციული კვლევა</b>	<b>456</b>
2.1	აივ ანტისხეულების განსაზღვრა იმუნობლოტინგის მეთოდით	352
2.2	სისხლში აივ დნმ,რნმ თვისობრივი განსაზღვრა პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის მეთოდით.	104

**3. აივ ინფექციით/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფა ამბულატორიული და სტაციონარული დახმარებით**

№	დახმარების სახე	შემთხვევათა რაოდენობა
<b>I</b>	<b>შიდსი (ამბულატორიული მომსახურება)</b>	<b>2 888</b>
1.1	პირველი ვიზიტი	121
1.2	განმეორებითი ვიზიტი	1118
1.3	მკურნალობა	321
1.4	ინსტრუმენტული დიაგნოსტიკა	264
1.5	ანტირეტროვირუსული მკურნალობის მონიტორინგი	1006
1.6	ექიმის ვიზიტი პაციენტთან	58
<b>II</b>	<b>შიდსი (სტაციონარული მომსახურება)</b>	<b>290</b>

**სასწრაფო დახმარების სახელმწიფო პროგრამა**

აღნიშნული პროგრამის მიზანს წარმოადგენს გადაუდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და ლეტალური გამოსავლის შემცირება.

აღნიშნული პროგრამით გაფორმებულია **71** ხელშეკრულება.

**2009** წლის მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში:

რეგიონი	გამომახება	ჰოსპიტალიზაცია	ცრუ	გვამი	ავტოსაგზაო	გვამი
---------	------------	----------------	-----	-------	------------	-------

					შემთხვევა	ავტოსაგზაო შემთხვევის დროს*
რეგიონები	<b>906 869</b>	<b>87 846</b>	<b>2 594</b>	<b>4 386</b>	<b>722</b>	<b>229</b>

რაც შეეხება თბილისს – დაფიქსირდა **338 829** გამოძახება და **53 391** ჰოსპიტალიზაცია.

\*ავტოსაგზაო შემთხვევები და გვამი ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დარეგისტრირებულია **2009** წლის ივლისის თვიდან.

რეგიონებში დაგვიანებისა და გაუქმების დრო განსაზღვრული არ არის.

### მოსახლეობის სპეციფიური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა

აღნიშნული პროგრამის მიზანია მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. **2009** წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **11 478.2** ათასი ლარით.

ცხრილით წარმოდგენილია **2009** წლის სტატისტიკური მონაცემები.

#	კომპონენტი	მედიკამენტის დასახელება	გაცემული მედიკამენტის რაოდენობა	მოსარგებლეთა პერსონიფიკაცია
<b>1</b>	შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	ინსულატარდი	<b>177 165</b> ფლ.	<b>17 704</b>
		აქტრაპიდი	<b>125 498</b> ფლ.	
		ინს.ლანტუსი	<b>12 950</b> ფლ.	
		ინს. ჰუმალოგი კარტრიჯი	<b>6 550</b> ფლ.	
		აპიდრა	<b>3 000</b> კარტ.	
<b>2</b>	ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	აიმაფიქსი IX ფაქტორი	<b>800</b> ფლ.	<b>280</b>
		პროთორასი 300 ს.ე.	<b>100 200</b> ს.ე.	
		ოპტივატი VIII ფაქტორი	<b>2 047</b> ფლ. <b>337 999.99</b> ს.ე.	
		კოატე დ.ვ.ი. 310 ს.ე.	<b>1 042</b> ფლ.	
		რეკომბინირებული VIII ფაქტორი 500	<b>80</b> ფლ.	

		ს.ე.	
		კოატე ანტიჰემ 270 ს.ე. VIII ფაქტორი	353 ფლაკონი
		კოატე ანტიჰემ 580 ს.ე. VIII ფაქტორი	431 ფლაკონი
		კოატე ანტიჰემ 310 ს.ე. VIII ფაქტორი	967 ფლაკონი
3	ონკოინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	მორფინი	690 500 ამპ.
		რეცეპტის ბლანკი ფორმა #1	41 990 წყვილი
		ნარკოტიკული საშუალებების დამადასტურებელი ცნობა	23 000 ცალი
		დიუროგეზიკი 25 მგ/სთ #5	199 კოლ.
		დიუროგეზიკი 50 მგ/სთ	49 კოლოფი.
		MST კონტინიუსი 60 მგ	1 480 ტაბ
		მორფინის სულფატი 15 მგ	2 500 აბი.
		მორფინის სულფატი 30 მგ	2 400 აბი.
		მორფინის სულფატი 60 მგ	2 400 აბი.
		მორფინის სულფატი 100 მგ	300 აბი.
4	ორგანოგადანერგილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	ნეორალი	3 000 კოლ.
		ცელცეპტი	362 კოლ.
		პროგრადი	1 მგ_500კოლ. 0,5მგ_149 კოლ.
		მიფოტრიკი	48 კოლ
5	უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	დესმოპრესინი	1 504 ფლ.
		მინირინი	5 724 კოლ.
		ინირინი სპრეი	925 კოლ.
			107
			403

6	ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი	ანტირაბიული ვაქცინა	110 960 კომპ.	
		ანტირაბიული იმუნოგლობულინი	15 690 კომპ.	
7	ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფის კომპონენტი	MD მილი ფენილკეტონურია	3 350 კოლ.	98
8	მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	კრეონი	3 720 კოლ.	79
9	ნარკომანიით დაავადებულთა ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფის პროგრამა	ეტადონის ჰ/ქ	1 750 ბოთლი	935
10	„სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამები – სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ორსულთა ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტი“	აივ-ინფექციაზე კვლევის ტესტი	56 890 ცალი	
		"ბ" ჰეპატიტზე კვლევის ტესტი	56 790 ცალი	

### დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამა

დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამა საანგარიშო პერიოდში მოიცავს:

- გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენის კომპონენტით – თანდაყოლილი პათოლოგიის სკრინინგი – **1 643** შემთხვევა; თანდაყოლილი პათოლოგიის ინვაზიური კვლევა – **79** შემთხვევა.
- ეპილექსიის ადრეული დიაგნოსტიკის და პრევენციის კომპონენტი – **1 141** შემთხვევა;
- იმუნიზაციის კომპონენტი – **432 613** შემთხვევა;
- ნარკომანიით დაავადებულთა პირთა რეაბილიტაციის კომპონენტი – **243** ივნისიდან
- უსაფრთხო სისხლის კომპონენტი – **24 085** შემთხვევა; (ივნისიდან)
- პროფესიულ დაავადებათა პრევენციის კომპონენტი\*
- დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობის კომპონენტით
  - ტრანსპლანტაციის რეესტრის წარმოების ქვეკომპონენტი\*
  - კიბოს რეესტრის წარმოების კომპონენტი\*

7.3 საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამა `პატრიოტით` განსაზღვრული სამედიცინო ღონისძიებების უზრუნველყოფის ქვეკომპონენტი\*.

7.4 ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევის ქვეკომპონენტი **17 125** შემთხვევა, **184** კომპიუტერული აუდიომეტრია, ამდენივე ტიმპანომეტრია.

7.5 ქალთა დისკორმონული ოსტეოპოროზის პროფილაქტიკის ქვეკომპონენტი. დენსიტომეტრია – **333** შემთხვევა

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები **3 007** შემთხვევა;

\* დაფინანსების სპეციფიურობიდან გამომდინარე, შეუძლებელია შემთხვევათა რაოდენობის განსაზღვრა.

### ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა

ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ბენეფიტები არიან ომის ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში არსებულ საინფორმაციო ბაზაში.

პროგრამა ითვალისწინებს, როგორც ამბულატორიულ ასევე სტაციონარულ მომსახურებას. სულ დაფიქსირდა **9 313** შემთხვევა, აქედან **4 923** ამბულატორიული მომსახურება და **4 390** სტაციონარული მომსახურება.

### სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამის მიზანს წარმოადგენს სამხედრო ძალების შევსება ჯანმრთელი კონტიგენტით.

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს: სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორიულ შემოწმების კომპონენტს და სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა დამატებითი სტაციონარული გამოკვლევების კომპონენტი.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა **1 200** ათასი ლარით.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სულ **24 865** შემთხვევა, აქედან **15 545** ამბულატორიული შემოწმების შემთხვევა და **9 320** დამატებითი სტაციონარული გამოკვლევების შემთხვევა. ხშირი ნოზოლოგიური ჯგუფები

დამატებითი სტაციონარული გამოკვლევების შემთხვევაში შემდეგია:  
ფსიქიატრია, თერაპია – ასთმა, ორთოპედია-ტრავმატოლოგია.